# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

5 ივლისი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 125 (10 294) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# სეოკ-ის აღმასკომის სხდომა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი ყოველ ოთხშაბათს იკრიბება. გუშინდელმა სხდომამ იმსჯელა ჰოლანდიაში საქართველოს მხედრების ამასწინანდელ გამოსვლებზე, რათა სიცხადე შეეტანა სეოკ-ის ინტერესებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხში. აღმასკომმა დაადასტურა, რომ ჰოლანდიაში ქართველი მხედრების გამგზავრება განიხილებოდა, როგორც უცხოეთში ჩვენი ცხენოსნების გამოსვლების ტრადიციის აღდგენისათვის გამიზნული ღონისძიება. სეოკ-ის აღმასკომმა მხარი დაუჭირა ამ საქმეს, მით უმეტეს, რომ განზრახულია შეიქმნას საერთაშორისო ფედერაცია ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებსა და ხალხურ თამაშებში. ამ ფედერაციის ცენტრად საქართველო უნდა იქცეს — არა მარტო იმიტომ, რომ იგი ამ იდეის ხორცშესხმის ინიციატორია, არამედ უფრო იმიტომ, რომ ქართველ ხალხს, მსოფლიოში ოდითგანვე ყველაზე მრავლად ჰქონდა ცხენოსნური თამაშები, მათგან ბევრი კი დღესაცაა შემორჩენილი, ტარდება შეჯიბრებები, საჩვენებელი გამოსვლები.

ორმხრივი შეთანხმებით, სეოკ-ის აღმასკომსა და „იბერია-89“-ს, რომელიც ხელმძღვანელობდა ჰოლანდიაში ჩვენი წარმომადგენლების გამგზავრებას, მხედრების გამოსვლის პროგრამა ერთობლივად უნდა შეედგინათ და ერთობლივად გადაეწყვიტათ დელეგაციის შემადგენლობის საკითხიც. ორგანიზაციული საქმეების მოგვარებამ ბევრი დრო მოითხოვა, თ. გოგია — ფირმა „იბერია-89“-ის თავმჯდომარე, გამუდმებით რესპუბლიკის გარეთ იმყოფებოდა, რის გამოც, აღარ მოხერხდა სეოკ-ის მონაწილეობით ჩანაფიქრის განხორციელება.

პრესაში უკვე დაიწერა, რომ ჰოლანდიაში იმ ცხენებთან ერთად, რომელთა აუქციონით გაყიდვა თავიდანვე იყო დაგეგმილი, გაიყიდა საცხენოსნო კლუბების რამდენიმე მერანიც. ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. თ. გოგიამ განმარტა, რომ აუქციონიდან მიღებულმა თანხამ დაფარა ხარჯები, შოუს შემოსავალი კი მხედრებს დაურიგდათ. შოუდან მიღებული ფულის ნაწილი რამდენიმე საქველმოქმედო საქმისთვის გაიღეს. მათ შორის, 5 ათასი გულდენი (2500 დოლარი) პირადი ინიციატივით სეოკ-ის ანგარიშზე შეიტანა თ. გოგიამ.

სეოკ-ის აღმასკომმა გადაწყვიტა: თ. გოგიას მიერ პირადი ინიციატივით შეტანილი თანხა ჯერ არ გადაეცემა სეოკ-ს და სეოკ-ი არც მიიღებს ამ ფულს, მანამდე, სანამ კომპეტენტური ორგანოები არ გაარკვევენ „იბერია-89“-ის კომერციულ საქმიანობას.

აღმასკომის ამავე სხდომაზე განიხილეს მიმდინარე წლის შემოდგომაზე პარდუბიცეში „სტიპლჩეისის“ ტრადიციულ ასპარეზობაში (წლევანდელი შეჯიბრება საიუბილეოა, მეასედ ტარდება) ქართველი ცხენოსნების მონაწილეობის საკითხი. ეს იდეა გაზეთმა „ლელომ“ წამოაყენა 30 ივნისის ნომერში.

ითქვა, რომ სეოკ-ის აღმასკომი ყოველთვის დაუჭერს მხარს საზღვარგარეთ რესპუბლიკის ცალკეული გუნდების, თუ სპორტსმენების გამოსვლებს, თუ ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქართული სპორტის პროპაგანდას უცხოეთში, რესპუბლიკის სპორტული სუვერენიტეტის განმტკიცებას.

ამავე სხდომაზე აღინიშნა, რომ სეოკ-ის აღმასკომი მიესალმება საქართველოს ეროვნული დამოუკიდებელი პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების „შევარდენის“ შექმნას, რომლის დამფუძნებელი ყრილობა ახლახანს გაიმართა და უსურვა მას წარმატებები ადამიანების გაჯანსაღებისა და ქართული სპორტის წინსვლის საქმეში.

აღმასკომმა მოისმინა ინფორმაცია სეოკ-ის რეგიონალური ხელშემწყობი ჯგუფების შექმნის შესახებ და განიხილა სხვა საკითხები.

აღმასკომის წევრებმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ვ. სანეევმა და ვ. კაჭარავამ პრიზები გადასცეს 1990 წლის 18 მაისს საქართველოს ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით კომპიუტერული ვიქტორინის აქტიურ მონაწილეებს.

ITALIA'90

## მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

# პელეც კი შეცდა...

ბრაზილიელი ფეხბურთელი პელე ცნობილია იმით, რომ საღად, რეალურად აფასებს ფეხბურთში შექმნილ ვითარებას, პროგნოზებისგან, ჩვეულებრივ, თავს იკავებს ხოლმე, მაგრამ, როცა საჭიროა, თავის მოსაზრებას თამამად გამოთქვამს. და, აი, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრათა წინ პელემ თქვა:

— იტალიას ახლა საუკეთესო გუნდი ჰყავს, რაც კი ოდესმე მინახავს. იმაზე უკეთესიც კი, რომელმაც 1982 წელს ესპანეთში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. აზელიო ვიჩინის გუნდი რაციონალურადაა დაკომპლექტებული, ბევრი გამოჩენილი მოთამაშე ჰყავს და არც მაეჭვებს რომ იგი ფინალში გავა. რაც შეეხება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს, აქაც შემიძლია დარწმუნებით ვთქვა: მეორე ფინალისტი სწორედ ის იქნება.

შეცდა პელე! იტალიელებმა „ფეხბურთის მეფის“ ასეთი შეფასების შემდეგ თავიანთი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინეს მინდორზე და დამარცხდნენ. დამარცხდნენ ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე, ფინალის წინ, იტალიელ გულშემატკივართა მწუხარებას ახლა საზღვარი არა აქვს. აპენინის ნახევარკუნძულზე ნამდვილი სახალხო გლოვა სუფევს.

მართლაც, იტალიელთა გამარჯვება, თითქოს, ეჭვს არ იწვევდა: არგენტინის ნაკრები დღეს ის არაა, რაც ბოლო წლებში იყო, მისი ლიდერი დიეგო მარადონა ბევრს ცდილობს, მაგრამ ძველებურად ველარ თამაშობს, გარდა ამისა, მაყურებელთა ენთუზიაზმი და მხარდაჭერა, ჩემპიონატის დაწყებიდან მოყოლებული ერთსა და იმავე მინდორზე თამაში, დიდი მობილიზება, მასპინძლებს საიმედო გარანტიას უქმნიდა. თუმცა აქა-იქ მაინც გაისმოდა კრიტიკული შენიშვნები იმის თაობაზე, რომ იტალიელებს კარგი დაცვა კი ჰყავთ, ჩინებულად თამაშობს მეკარე ვალტერ ძენგა, რომელსაც ჩემპიონატის განვლილ 5 მატჩში არც ერთხელ არ გაუშვია ბურთი, მაგრამ შედარებით მოისუსტებს თავდასხმა. მათ ჯგუფურ ტურნირშიც, მერვედფინალისა და მეოთხედფინალის შეხვედრებში სულ 7 ბურთი გაიტანეს, მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატისთვის კი ეს ერთობ ცოტაა.

მაინც, ასე თუ ისე, იტალიელები ამ ნახევარფინალური შეხვედრის ფავორიტები იყვნენ.

მეტოქეები მინდორზე თითქმის იმავე შემადგენლობებით გამოვიდნენ, როგორც წინა შეხვედრებში, ოღონდ იტალიელთა რიგებში რობერტო ბაჯოს ნაცვლად ჯანლუკა ვიალი გამოვიდა.

მეტისმეტი ნერვიულობა და დაძაბულობა იგრძნობოდა თამაშის პირველივე წუთებიდან. რამდენიმე ისეთი მომენტიც შევნიშნეთ, როცა მეტოქის ნახევარზე საჯარიმო დარტყმის გათამაშებისას ფეხბურთელმა უკან მიაწოდა ბურთი, პარტნიორმა ასევე უკან გააგრძელა „კომბინაცია“ და, ბოლოს, ბურთი მეკარეს მიუვიდა. ეს ნერვიულობაც იყო და შიშიც, შიში იმისა, რომ სულ მცირე უყურადღებობას ან შეცდომას შესაძლოა საბედისწერო შედეგიც მო-

იხ. მე-3 გვ.



პირველ ნახევარფინალურ მატჩში არგენტინის გუნდმა მწვავე ბრძოლაში მატჩის შემდეგი პენალტების სერიით დაამარცხა ტურნირის მასპინძელი — იტალიის ნაკრები.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

## ველოსიპედი - მხედველი

პარიზი. პოპულარული ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ მეოთხე ეტაპის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა, ფაქტიურად, უცვლელია. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ფავორიტები ჯერჯერობით სუსტად გამოდიან. რბოლის შარშანდელი ჩემპიონი ამერიკელი გრეგ ლემონდი მხოლოდ 24-ე ადგილზეა და ლიდერს 10,37 წუთით ჩამორჩება.

ირლანდიელ სტეფენ როჩს მასზე ოდნავ უკეთესი შედეგი აქვს — მე-19 ადგილი და 10,27 წუთიანი სხვაობა ლიდერთან. აღარაფერს ვამბობთ ფრანგ როლან ფინიონზე (47-ე ადგილი) და ესპანელ პედრო დელგადოზე (109-ე ადგილი).

მეოთხე ეტაპი, რომლის სიგრძე 203 კილომეტრი იყო მოიგო ბელგიელმა იოჰან მუსეუმმა — 5:23.33. ასეთივე შედეგი აქვს ველოსიპედისტთა დიდ ჯგუფს, რომელშიც საბოლოოდ მეორე ადგილი იტალიელ გიდო ბონტემპის ერგო, მესამე კი — გდრ-ის წარმომადგენელს ოლაფ ლუდვიგს.

ლიდერის ყვითელ მაისურს კანადელი სტივ ბაუერი ინარჩუნებს.

## ელვა-ინფორმაცია

გაზეთის დაბეჭდვის წინ საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსმა ომზარ შოშიტაშვილმა გვაცნობა: ჭაბუკ ფალავანთა პრობლემა მოიხსნა. თანაც საქართველოდან თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება არა ექვსი, არამედ შვიდი სპორტსმენი. ასე რომ, ახლა 11-დან ქვეყნის ნაკრებში 7 ქართველი ჭაბუკი იქნება. ყველა ორგანიზაციული საკითხი მოგვარებულია. უჟგოროდში ერთკვირიანი შეკრების შემდეგ გუნდი მატარებლით გაემგზავრება ბუდაპეშტში“.





# წარმატება მიულოცეს

ამას წინათ, როგორც ცნობილია, ქართველმა მოჭადრაკემ ქეთევან კახიანმა წარმატებით ითამაშა ქალაქ აზოვში გამართულ საზონათშორისო ტურნირში და მსოფლიო პირველობის შემდგომი ციკლის საგზური მოიპოვა. ქეთევან კახიანს და მის მწვრთნელს გიორგი მაჭარაშვილს ეს დიდი წარმატება მიულოცეს სპორტსახკომში გამართულ შეხვედრაზე.

ქეთევანმა ილაპარაკა ტურნირის პერიპეტიებზე და თქვა, რომ ძალებს არ დაიშურებს მომავალი გეგმების ხორცშესხმისთვის. სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ შემდგომი წარმატებები უსურვა ოსტატს და შეგირდს, გადასცა მათ სიგელები და საჩუქრები.



# ამერიკელები თბილისში

საქართველოში სტუმრად იმყოფებიან ამერიკელი ჭაბუკი ფეხბურთელები (კონექტიკუტის შტატი), რომლებიც თბილისის საფეხბურთო სკოლის — „ავაზას“ მოწვევით ჩამოვიდნენ ჩვენს დედაქალაქში, საწვრთნელი ვარჯიშების გარდა სტუმრებმა პირველი ამხანაგური მატჩიც გამართეს ავაზელ თანატოლებთან და დამარცხდნენ — 3:9.

სტუმრები ათ დღეს დაჰყოფენ საქართველოში და კიდევ ორ შეხვედრას ჩაატარებენ — გორსა და მცხეთაში.

●●●

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: წვრთნის მომენტები; სტუმარ-მასპინძლებმა სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

ა. კოპლამაზაშვილის ფოტო.

...პირმა თავი არ დამალა

# სპონსორობა კარგი საქმეა, მაგრამ...

● ვინ და რატომ შეუცვალა „პროფილი" ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებს?

● სპორტულ დელეგაციაშია 6 სპორტსმენი, 1 მწვრთნელი და... 8 „სპონსორი" — მშობლები, შვილები, ცოლები, ქმრები...

● ზოგიერთი სპორტსმენი ერთხელაც ვერ მოხვდა უცხოეთში გასამგზავრებელთა სიაში, ორგანიზატორები კი...

● გასტროლებს გადავყევით, ტანმოვარჯიშეთა მომზადების კლასი კი დაეცა.

● შედეგი? არც ერთ ჩვენს სპორტსმენს აღარ იწვევენ ნაკრებში.

**სპონსორობამ**, როგორც იქნა, „საზღვრები გადმოლახა" და ახლა ჩვენს მიწა-წყალზეც ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს, თუმცა ჯერ კიდევ არაა ისეთი ფართო მასშტაბით დანერგილი, როგორც ეს უცხოეთშია. მისასალმებელია, რომ სპონსორები სპორტშიც გამოჩნდნენ. მათ არაერთი გუნდი და თვითონ შეჯიბრება დააფინანსეს. ვწერთ ამას და, უპირველესად, გასული წლის შემოდგომაზე თბილისის სპორტის სასახლეში გამართული მიხეილ მესხის ტურნირი-შოუ (უფრო ზუსტი სიტყვა ვერ მოგვიძებნია) გვიდგას თვალწინ. ანდა, თუ გნებავთ, სულ ახალი მაგალითი: იტალიის სტადიონებზე დღეს მიმდინარე ფეხბურთში მსოფლიოს XIV ჩემპიონატის ტრანსლაციათა სპონსორები, როგორც იცით, საქვეყნოდ აღიარებული ფირმები „ადიდასი" და „პანასონიკი" გახლავთ.

მაგრამ სპონსორობაც არის და სპონსორობაც. არა, თავად სპონსორებთან არაფერი გვაქვს სადავო, მაგრამ აი, მუდამ სწორედ გვესმის კი ეს საქმე, ზოგჯერ სპორტისა და სპორტსმენთა საზიანოდ ხომ არ ვიყენებთ მას?

სწორედ ამ თემაზე გვქონდა ამას წინათ მსჯელობა, რომელსაც დღეს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს. შეკითხვებით მივმართეთ საქართველოს სპორტსახკომის ტანვარჯიშის განყოფილების უფროსს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, სპორტის ოსტატს **თეიმურაზ ახათიანს**.

● **პირადად თქვენ როგორ უყურებთ სპონსორობას სპორტში, კერძოდ, თქვენთვის „მშობლიურ სახეობაში" — ტანვარჯიშში?**

— დიდებული საქმე და მისასალმებელია, რომ იგი გაბედულად იდგამს ფეხს ჩვენში. ვფიქრობ, რომ სპონსორობა განსაკუთრებით საჭიროა დღევანდელ საქართველოში, რომელმაც უნდა დაუმტკიცოს სამყაროს საკუთარი „მე" — სპორტის საშუალებითაც გააცნოს მსოფლიოს თავისი თავი. აი ამ საქმეში უდიდესი როლი შეიძლება ითამაშონ სპონსორებმა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველას სწორად როდი ესმის, რა გამოდის: სპონსორები არიან სპორტისათვის თუ სპორტი — სპონსორებისათვის. საქმე ეხება საზღვარგარეთ გამგზავრებულ, ეგრეთ წოდებულ, სპორტულ დელეგაციებს. ვამბობ „ეგრეთ წოდებულს" იმიტომ, რომ ზოგიერთ ჩვენს დელეგაციაში უფრო მეტი სპონსორია, ვიდრე თავად სპორტსმენი.

● **იქნებ კონკრეტული მაგალითიც მოგვიტანოთ, ცხადია, თუ გაქვთ ასეთი?**

— მაგალითისათვის შორს წასვლა არ დამჭირდება — ასე ვთქვათ, სულ ახალ, აპრილის ამბავს მოგახსენებთ. ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია მხატვრულ ტანვარჯიშში დასავლეთ გერმანიაში იმყოფებოდა ორი კვირით. როგორც იტყვიან, კეთილი და პატიოსანი. მაგრამ იყო ერთი „დეტალი", რომლის შესახებაც არ შეიძლება არ ითქვას: 15-კაციან ჯგუფში მხოლოდ 6 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი იყო. დანარჩენები... „სპონსორები" — მშობლები, შვილები, ცოლები, ქმრები და ა. შ. ესე იგი, ის ხალხი, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ სპორტთან. ამჯერად მათი ვინაობის ჩამოთვლაზე თავს შევიკავებ. განა არ ჯობდა, მათ მაგივრად ახალგაზრდა სპორტსმენები წაგვეყვანა — ისინი, ვინც იასპარეზებდა იქ, და თუ არა, სხვა მონაწილეთა თვალისდევნებით ბევრს ისწავლიდა. საბოლოო ჯამში, ეს კიდევ უფრო გაზრდიდა კონკურენციას ჩვენს გუნდში, რაც, უდავოდ, აამაღლებდა სპორტსმენთა კლასს. ერთი სიტყვით, ქართული სპორტის ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო გულდასმით უნდა შევარჩიოთ საზღვარგარეთ გასამგზავრებელი სპორტული ჯგუფები, მკაცრად დავიცვათ მასში წარმომადგენლობის ნორმები. რაც შეეხება სპონსორებს, ასეთნი, ჩემი აზრით, თითო ჯგუფში შეიძლება ორი ან სამი იყოს, თუ ეს ასე აუცილებელია.

● **რაკილა მხატვრულ ტანვარჯიშზე ჩამოვარდა საუბარი, გვინდა შევახსენოთ „ლელოს" გასული წლის 19 იანვრის ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული მასალა რუბრიკით „სოს"...**

— თქვენი გაზეთის გამოსვლა კრიტიკული და გულწრფელი იყო, ამასთან, დროულიც. მართლაცდა, მეცხრე ადგილი ჯგუფურ ვარჯიშში, ნაცვლად საპრიზო მესამისა, აშკარა ჩავარდნა გახლდათ. ამიტომ იყო, რომ „სოს"-ის შემდეგ ჩვენ მხატვრულ ტანვარჯიშში ორი ცენტრი შევქმენით — ერთი სანაპიროზე მდებარე დარბაზში, მეორე კი ასკის დარბაზში. პირველს ქვეყნის დამსახურებული მწვრთნელი ნელი სალაძე ჩაუდგა სათავეში, მეორეს — სპორტის ოსტატი ლალი დოლიძე, გადაწყდა, რომ ერთი ვარჯიში სალაძეს მოემზადებინა, მეორე კი — დოლიძეს. ორივე მწვრთნელი ახლა თითქოს უფრო დაინტერესებული იყო „მოეგო" მეტოქისათვის. შედეგმაც, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა. ქვეყნის ჩემპიონატზე მთელი ხუთი ადგილით მაღლა ამოვჩნდით.

● **მაგრამ მერე კვლავ გაგრძელდა ჩავარდნა — გორკში ამას წინათ დამთავრებულ საკავშირო პირად-გუნდურ ჩემპიონატში ორი საფეხურით უკან (VII ადგილი) დავიხიეთ კრასნოიარსკის შარშანდელ ტურნირთან შედარებით. ბარემ აქვე ვისაუბროთ ჩემპიონატზე ჩვენი ცალკეული სპორტსმენების გამოსვლის შესახებაც...**

— სამწუხაროდ, საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი... მეცხრამეტე — მეოცე ადგილი იყო. იგი ჩვენს ლიდერს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს, ელისო ბედოშვილს ჰქონდა. და ეს მაშინ, როდესაც შარშან ასეთივე შეჯიბრებაში ელისო მე-11 ადგილზე გავიდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თინა ნადირაშვილი 22-ე იყო, რუსთაველი მოსწავლე ოლგა ულერშპერგერი — 43-ე, უნივერსიტეტის სტუდენტი ნატო ლეშკაშელი — 45-ე (შარშან მე-12 იყო), თბილისელი მოსწავლეები — ბელა ქილიაევა და ნატო ტატიშვილი შესაბამისად, 52-ე და 71-ე (!) ადგილებზე გავიდნენ. სულ კი გორკში 90 სპორტსმენი ასპარეზობდა. დასანანია, რომ ვერც ერთი ჩვენი მონაწილე ვერ მოხვდა ფინალში (8 უძლიერესი), ცალკეულ სახეობებში. შარშან კი, მოგეხსენებათ, ლეშკაშელი კრასნოიარსკის საკავშირო ჩემპიონატზე რგოლით ვარჯიშში მეოთხე იყო. ახლა კი მან რგოლით ვარჯიშში გამოსვლისას ნახევარი ქულა დაკარგა იმის გამო, რომ 5 წამით გადაამეტა ეგრეთ წოდებულ საკონტროლო დროს — წუთნახევარს.

● **რა არის ყოველივე ამის მიზეზი?**

— აშკარაა, რომ ჩვენი გუნდი ამ დიდი შეჯიბრებისათვის მიზანსწრაფულად არ ემზადებოდა. ჩემი აზრით, საზღვარგარეთული ვოიაჟი დასავლეთ გერმანიაში არ იყო გამართლებული წმინდა სპორტული თვალსაზრისით. ერთი სიტყვით, აპრილი და მაისი დაკარგული გახლდათ. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ნაკრების უფროსი მწვრთნელი ნელი სალაძე ერთი წლის განმავლობაში (სიზუსტისათვის — 14 თვეში)... ცხრაჯერ იყო უცხოეთში, საშუალოდ, ორ-ორი კვირით, უმაღლესი სპორტული დაოსტატების ტანვარჯიშის სკოლის დირექტორი მზია ჯულელი კი — ხუთჯერ, მაშინ, როდესაც ნაკრების წევრები ულერშპერგერი და ტატიშვილი არც ერთხელ არ ჩართეს უცხოეთში გასამგზავრებლად გამზადებულ სიაში.

● **სავალალოა, რომ ჩვენი უძლიერესი მოვარჯიშენი ხშირად თავს არიდებენ საქართველოს ჩემპიონატს, რომ არაფერი ვთქვათ თბილისის პირველობაზე...**

— ასეთი ფაქტები, მართლაც, არც თუ ისე იშვიათია. სხვათა შორის, წელსაც იყო ჩვენი „შინაური" შეჯიბრებების ამგვარი იგნორირება (აპრილში, მაისში), [illegible] ძალიან მკაცრად [illegible]. კარგია ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატები, მაგრამ საქართველოს პირველობა, ჩემი აზრით, ქართველ სპორტსმენს ყველაფერს უნდა ერჩივნოს.

● **თუ არ ვცდებით, ჯერ კიდევ შარშან, ქვეყნის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სხვადასხვა ნაკრებებში საქართველოს ოთხი სპორტსმენი შედიოდა (ნატო ლეშკაშელი, თინა ნადირაშვილი, ბელა ქილიაევა, ეკა ცხადაძე)...**

— წელს არც ერთი ჩვენი სპორტსმენი არ შეიყვანეს ნაკრებში, ამასთან, სავსებით სამართლიანად, რადგან მათი მომზადების დონე ძალზე დაბალია. რაც შეეხება 15 წლის ცხადაძეს, ამ უდავოდ ნიჭიერმა სპორტსმენმა მოკლე ხანში სამჯერ გამოიცვალა მწვრთნელი, რამაც ძალზე უარყოფითად იმოქმედა მის სპორტულ ზრდაზე.

● **12-15 წელი სწორედ ის ასაკია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხატვრულ ტანვარჯიშში...**

— სამწუხაროდ, ამ მხრივ სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით. აი, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და სხვა გუნდებს თავის შემადგენლობებში მთელი რიგი ნიჭიერი მოვარჯიშენი ჰყავთ, დაახლოებით ათი გოგო. როგორც ხედავთ, ამ რესპუბლიკებში მწვრთნელები მართლაც რომ კარგად მუშაობენ, ჩვენთან კი, რბილად რომ ვთქვათ, „ადგილს ტკეპნიან". ამ მხრივ, ცხადია, გაცილებით მეტი უნდა მოვთხოვოთ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ხელმძღვანელობას, რომელმაც ბოლო წლებში მოასუსტა კონტროლი როგორც მწვრთნელებზე, ისე ტანმოვარჯიშეებზე.

ესაუბრა
**ოთარ ოთარაშვილი.**

**რედაქციისაგან:** როგორც ხედავთ, უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გაიოლება ჩვენში ზოგიერთმა „სათავისოდ" გაიგო. სპორტში ასეთი დამოკიდებულება დამღუპველია და ასეც მოხდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მაგალითზე. უცხოეთთან ურთიერთობის წინააღმდეგი როდი ვართ, მაგრამ ყველა ასეთი გასვლა უნდა ემსახურებოდეს ქართული სპორტის ინტერესებს, ჩვენი სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებას და არა უცხოეთში ოჯახურ ტურიზმს. საქართველოს სპორტსახკომში გამართულ ერთ-ერთ სხდომაზე პრინციპულად დაისვა ამგვარი ნეგატიური მოვლენების დაუყოვნებლივ აღმოფხვრის საკითხი. ვფიქრობთ, შედეგები არ დააყოვნებს.

და კიდევ ერთი, ამას წინათ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ითქვა, რომ თურმე ცალკეული სამინისტროებიდან და უწყებებიდანაც ბევრი თვითნებურად დასეირნობს უცხოეთში. მთავრობამ დაიწყო კონკრეტული ფაქტების შესწავლა იმის გასარკვევად, რამდენად მიზნობრივი და აუცილებელია ასეთი მივლინებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან მიმართებაში.

იქნებ ჩვენც გადაგვეხედა სპორტული დელეგაციების შემადგენლობებისთვის და გამოგვეტანა დასკვნა, რაში წაადგა იგი ქართული სპორტის ინტერესებს.

# ტურნირი დამთავრდა — ტურნირი გრძელდება

**16 წლის** თბილისელმა დინამოელმა, ოსტატობის კანდიდატმა ბექა ძაგანიამ წარმატებით იასპარეზა მინსკში გამართულ ჭაბუკ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირზე. იგი უძლიერესი იყო 32 მონაწილეს შორის — ერთეულთა ფინალში დაძაბულ ბრძოლაში სძლია მინსკელ ა. კრუპეცკის — 6:4, 7:5.



სხვათა შორის, საქართველოს ექსგზის ჩემპიონმა ჭაბუკებში, შოთა გამცემლიძის ტრადიციული ტურნირის ოთხგზის გამარჯვებულმა, მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა ახლახან იურმალაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე.

მინსკის კორტზე ბ. ძაგანიამ კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია — თანაგუნდელ დათო ოძელაშვილთან ერთად მეორე იყო წყვილთა ასპარეზობაში.

ჩვენს საუკეთესო ახალგაზრდა ჩოგბურთელებს მალე კიდევ რამდენიმე საპასუხისმგებლო შეჯიბრება ელით: ივლისში „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა ლვოვში, ქვეყნის პირველობა უჟგოროდში და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა — აგვისტოში.

**სურათზე: ბ. ძაგანია.**

## მოკლედ

**მონარდეთა** ღია რესპუბლიკურმა პირველობამ, რომელსაც თან კარგი რეკლამაც ახლდა, ეტყობა, სხვებსაც აღუძრა ასეთი ტურნირის ჩატარების სურვილი. თერჯოლაში სპორტსაზოგადოება „შევარდენის" იქაური განყოფილების თაოსნობით, საწარმოთა და დაწესებულებათა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გაიმართა ასპარეზობა ნარდში. პირველი ადგილი დაიკავა კომუნალური საწარმოთა კომბინატის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: დარეჯან რობაქიძე, ნიკო გავაშელაშვილი და გივი სებისკვერიძე (მეთოდისტი არჩილ ცქიფურიშვილი, კომბინატის დირექტორი ალეკო ფართლაძე). მეორე ადგილზე გავიდა „შევარდენის" რაიონული განყოფილების ნაკრები, მესამეზე — რაიკოოპერატივის გუნდი.

**ვანო კუტალაძე.**

ქართული პრესა წერდა...

# აკაკის რჩევით

**ძმები** ნოშრევან და სოსიკო მერკვილაძეები აკაკი წერეთლის მეგობრები იყვნენ. პოეტი როცა კი თბილისში ჩამოვიდოდა, ხშირად, სოსიკო მერკვილაძესთან დაბინავდებოდა ხოლმე. კეთილი მასპინძელი თავს ევლებოდა და დროდადრო მის პატივსაცემად ვახშამს მართავდა, იწვევდა აკაკის საყვარელ ადამიანებს: იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხვედაძეს, ნიკო სულხანიშვილს, შიო არაგვისპირელსა და სხვებს.

სოსიკომ თავის ბინაში აკაკის სამუშაოდ ცალკე ოთახი გამოუყო, სადაც პოეტს დამშვიდებულად შეეძლო წერა.

სოსიკო უშვილო კაცი იყო და ამ ნაკლს მწარედ განიცდიდა. მის უფროს ძმას — ნოშრევანს კი მხოლოდ ერთადერთი ვაჟიშვილი — გიორგი (მომდევნო — შოთა გვიან შეეძინა) ჰყავდა და მის აღზრდა-განათლებას მამა და ბიძა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ.

აკაკის რომ უფრო განემტკიცებინა მეგობრობა მერკვილაძეებთან, მონათლა პატარა გიორგი და ნათელ-მირონობამ უფრო მეტად დააახლოვა ძმებთან.

მაშინ პატარა გიორგი ახლად შესული იყო სკოლაში, როცა ქუთაისიდან თბილისში ჩამოსულ აკაკის ნოშრევანმა გულისტკივილით შესჩივლა: შენი ნათლული მაჯავრებს, გადაყოლილია სპორტულ თამაშობას და გაკვეთილების სწავლას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვინძლო, ერთი კარგად დაარიგო, სწავლას არ ჩამორჩესო.

ნოშრევანის ნათქვამზე აკაკის გაღიმებია და უთქვამს: ჩემო ნოშრე, (ასე უწოდებდა ნოშრევანს, შ. მ), ჩემი რჩევა იქნება, არ დაუშალო ბიჭს ვარჯიში, ვინ იცის მისგან როგორი სპორტსმენი დადგესო. შემდეგ კი პატარა გიორგისთვის უთქვამს: გავიგე, რომ ვარჯიში ძალიან გყვარებია და გამიხარდა. ეგ, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ჩემი თხოვნა იქნება, სწავლაში სხვებს არ ჩამორჩე, იბეჯითეო.

ერთ დღესაც, როცა უკვე მოზრდილ გიორგის აკაკი შეხვდა, სიამოვნებით გადაკოცნა და მაშინვე სწავლაზე ჩამოუგდო სიტყვა. გიორგიმ მოკრძალებით მოახსენა, რომ მართალია, ფრიადოსანი არ არის, მაგრამ არც სხვებს ჩამორჩება, ოთხები და ხუთები უწერია.

— აბა ხუთოსანი როგორ იქნება გოგია, როცა ვარჯიშსაა გადაყოლილიო, — განუცხადებია სოსიკოს, მართალია, ამ ვარჯიშის გამო რამდენჯერმე თავიც გაიტეხა, ახლახან ხელიც იღრძო, მაგრამ თავისას არ იშლისო...

აკაკიმ ღიმილით ხელი მოხვია გიორგის და ბიძამისის გასაგონად განაცხადა: ვარჯიშს ნუ აუკრძალავთ გიორგის, ეგეც კარგია, მაგრამ მჯერა, რომ სწავლაშიც იბეჯითებს და უთუოდ უმაღლეს განათლებასაც მიიღებსო.

1915 წელს, აპრილში უკვე ხანდაზმული აკაკი სპეციალურად დაესწრო მუშტაიდის ბაღთან ახლოს, მცირე მოედანზე, ახალგაზრდების ვარჯიშს, სადაც თავი ისახელა გიორგი მერკვილაძემ, როგორც ერთ-ერთმა ძლიერმა ტანმოვარჯიშემ. გიორგისთან ერთად სამაგალითოდ ასრულებდა ვარჯიშს მისი მოსახელე გიორგი ნიკოლაძე, რომელიც აკაკიმ ვარჯიშის შემდეგ თავისთან მიიხმო და ჰკითხა თუ ვისი შვილი იყო. — გიორგიმ მოკრძალებით მოახსენა პოეტს, რომ ის ნიკო ნიკოლაძის ვაჟია. მის ნათქვამზე აკაკის თვალები გაუბრწყინდა და კმაყოფილებით განაცხადა: ნიკო ჩემი მეგობარია და მახარებს, რომ ასეთი კარგი ვაჟკაცი გაუზრდიხარო.

სამწუხაროდ, აკაკი წერეთელი იმავე წელს გარდაიცვალა და ველარ მოესწრო ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების — გიორგი მერკვილაძის, გიორგი ნიკოლაძისა და სხვების საქვეყნოდ აღიარება-დაფასებას.

გ. მერკვილაძეს ეამაყებოდა, რომ დიდი აკაკის ნათლული იყო და სიამოვნებით იტყოდა ხოლმე: ბავშვობაში უფროსებისგან გამიგონია, კაცს ცალი გვერდი ნათლიისა აქვსო.

1916 წლიდან გ. მერკვილაძე უკვე რესპუბლიკაში აღიარებულ ტანმოვარჯიშედ ითვლებოდა და ღირსეულად დაიმსახურა მრავალი ორდენი და მედალი. სიცოცხლის ბოლო წლებში, უკვე წელთა სიმრავლით საკმაოდ დატვირთული, მუშაობდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებულ ფიზიკური აღზრდის მეთოდ-კაბინეტის გამგედ. მისი გვარის ქვემოთ ყოველთვის აღინიშნებოდა თანამდებობისა თუ ხარისხის დამადასტურებელი სიტყვები: სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი...

გ. მერკვილაძე ეთაყვანებოდა ნათლიას და სულმნათი აკაკის სურათი არა მარტო საკუთარ ოჯახში, სამსახურშიც კედელზე, თვალსაჩინო ადგილზე ჰქონდა მოთავსებული. იგი ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა პოეტთან შეხვედრებს... მოსაგონარი კი ბევრი ჰქონდა.

**შალვა მარკოზაშვილი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# სადისციპლინო კომისიის სხდომაზე

**გაიმართა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მიერ წესრიგის დარღვევათა ფაქტები.**

**მეორე** ჯგუფის გუნდების მატჩში, სადაც ახალციხის „მესხეთი" ტყიბულის „ოკრიბას" მასპინძლობდა, მესხეთის გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გ. მიქელაძემ, პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ, საყვედურითა და უშვერი სიტყვებით მიმართა შეხვედრის მთავარ არბიტრს ზ. ჩიტაიას (ეს შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით 3:0 დამთავრდა), მეორე ნახევარში კვლავ არ ცხრებოდა გუნდის მწვრთნელი, რომელიც ტრიბუნიდან ლანძღავდა შეხვედრის მსაჯებს, სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მინდორზე შეაღწია ზოგიერთმა მაყურებელმა და მატჩი რამდენიმე წუთით შეჩერდა, არბიტრებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს შეხვედრის ბოლომდე მიყვანა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისია მიმართავს ახალციხის რაიონის ხელმძღვანელობას, გ. მიქელაძის ამ თანამდებობაზე მუშაობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვის შესახებ.

ბოგდანოვკის „ფარვანასა" და თბილისის „მგლების" (სდს) შეხვედრის დროს, მასპინძელთა რიგებში ითამაშა ფეხბურთელმა, რომელიც განაცხადში, საერთოდ არ ყოფილა შეყვანილი, „ფარვანას" ამ შეხვედრაში დამარცხება ჩაეთვალა, ხოლო ამავე გუნდის მთავარ მწვრთნელს ა. მარკოსიანს საყვედური გამოეცხადა.

გულრიფშის „კოლხისა" და სოხუმის „სუბტროპიკის" შეხვედრაში (მეორე ჯგუფი, დასავლეთი ქვეჯგუფი) სოხუმელმა ე. გვარამიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. კომისიამ ე. გვარამიას 10 კალენდარული მატჩით გამოუტანა დისკვალიფიკაცია.

24 ივნისს წითელწყაროს „შირაქმა" წნორის „ერწუხს" უმასპინძლა. წითელწყაროელი ფეხბურთელი ზ. თარაშვილი, ფიზიკურად გაუსწორდა არბიტრს. კომისიამ ამ მოთამაშეს 10 თამაშით მისცა დისკვალიფიკაცია, იგი 300 მანეთითაც დაჯარიმდა. დასავლეთი ქვეჯგუფის მორიგ კალენდარულ შეხვედრაში სენაკის „ეგრისი" გულრიფშის „კოლხს" მასპინძლობდა. სისტემატური კამათისათვის ქუთაისელმა არბიტრმა პ. დოგრაშვილმა მინდვრიდან გააძევა სენაკელი გ. ქაჩიბაია, ეს მოთამაშე ორ შეხვედრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

საგარეჯოს „გარეჯი" კალენდარულ მატჩში ჰაბუკიანის „განთიადს" ხვდებოდა (აღმოსავლეთი ქვეჯგუფი). მთელი შეხვედრის განმავლობაში გამომწვევად იქცეოდნენ „განთიადის" მოთამაშეები — ჯ. მაჩაიძე და ს. იობაშვილი. მსაჯმა ორივე ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევა. ისინი სამ-სამ შეხვედრას გამოტოვებენ და გადაიხდიან 300-300 მანეთ ჯარიმას.

ეროვნული თასის გათამაშების მორიგ შეხვედრაში ბოლნისის „სიონი" წალენჯიხის „სქურს" მასპინძლობდა. არასპორტული საქციელისათვის მინდორი დაატოვებინეს გ. კოპალიანს. ეს ფეხბურთელი 2 კალენდარული მატჩითაა დისკვალიფიცირებული.

XV ტურის მატჩში (პირველი ჯგუფი) მცხეთის „არმაზი" საჩხერის „ჩიხურას" ხვდებოდა (ეს მატჩი სტუმართა გამარჯვებით — 3:1 დამთავრდა), მეორე ნახევარში მინდვრიდან გააძევეს მცხეთელი მ. ხუცურაული, რომელიც 5 თამაშს გამოტოვებს.

დუშეთის „არაგვისა" და თელავის „კახეთის" შეხვედრის დროს (ეს მატჩი ფრედ —1:1 დამთავრდა), მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის ასევე მინდვრიდან გააძევეს თელაველი ო. იაშვილი. ამ ფეხბურთელს 4 თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია.

ჩხოროწყუში, სადაც „სამეგრელო" გორის რაიონის „ქართლს" მასპინძლობდა, მატჩის დამთავრების შემდეგ [illegible] მეკარე რ. ხიდეშელი [illegible] ფიზიკურად გაუსწორდა არბიტრს, კომისიამ მას 5 თამაშით მისცა დისკვალიფიკაცია და დააჯარიმა 100 მანეთით.

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ფეხბურთელი გ. ბებია მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის გაძევებულ იქნა თამაშიდან, ამ მოთამაშეს 5 მატჩში თამაში აეკრძალა.

ასევე მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის მინდორი დაატოვებინეს გ. კომახიძეს (ქობულეთის „მუქურა"). იგი 7 კალენდარულ მატჩს გამოტოვებს.

სადისციპლინო კომისიის სახელზე შემოვიდა პროტესტი თბილისის „მრეტების" გუნდის ხელმძღვანელობისაგან. ისინი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მოითხოვდნენ თბილისის „მართვესთან" გადათამაშებას (ეს მატჩი „მართვემ" 2:1 მოიგო). კომისიამ არ ჩათვალა მიზანშეწონილად გადათამაშება და შედეგი ძალაში დატოვა.

# საქართველოს თასზე

**3 ივლისს** თბილისის „შევარდენი-1906"-ისა და გალის „მზიურის" მატჩით დაიწყო რესპუბლიკის თასის გათამაშების მერვედფინალური ეტაპი ფეხბურთში. „შევარდენი-1906"-მა დაძაბულ ბრძოლაში — 4:3 სძლია „მზიურს". გუშინ თბილისის ეროვნულ სტადიონზე თბილისის „იბერიამ" მოუგო ადგილობრივ „კრწანისს" — 3:2.

მერვედფინალის დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან: „ოდიში" (ზუგდიდი) — „კოლხეთი" (ხობი), „ქუთაისი" (ქუთაისი) — „იმერეთი" (ხონი), „სანავარდო" (სამტრედია). — „ბათუმი" (ბათუმი), „გორდა" (რუსთავი) — „ივერია" (ხაშური), „რგვეთი" (ზესტაფონი) — „გურია" (ლანჩხუთი), „მერცხალი" (ოზურგეთი) — „ალაზანი" (გურჯაანი), „კოლხეთი-1913" (ფოთი) — „ბეთლემი" (ქედა), „მრეტები" (თბილისი) — „ლიახვი" (ცხინვალი), „კახეთი" (თელავი) — „სამგურალი" (წყალტუბო), „სიონი" (ბოლნისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ), „არმაზი" (მცხეთა) — „ოკრიბა" (ტყიბული), „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ცხუმი" (სოხუმი), „მართვე" (თბილისი) — „სიხარული-90" (გაგრა), „დილა" (გორი) — „მამული" (დიდი ჰყონი).

# რეკორდი, რომელიც მარად შენთან არის!

**ფეხბურთის** სტატისტიკოსები! ვინმეს, შესაძლოა, არასერიოზული, პრიმიტიული და მოცლილი ხალხიც ეგონოს, თუმცა თავად ისინი ირწმუნებიან, რომ თავიანთი საქმიანობით ფეხბურთს საკმაო პოპულარიზაციას უწევენ.

ფეხბურთი სპორტის ისეთ სახეობებს არ მიეკუთვნება, რომლებშიც ოფიციალური რეკორდები აღინუსხება, თუმცა საკმაოდ ხშირად წაგვიკითხავს ამა თუ იმ მიღწევისა და რეკორდის შესახებ. მაგალითად, ვის არ სმენია, საკავშირო ჩემპიონატებში საუკეთესო ბომბარდირია ო. ბლოხინი, ერთ სეზონში ყველაზე მეტი გოლი ო. პროტასოვმა გაიტანა, ერთ მატჩში გატანილი გოლებით რეკორდსმენის ტიტულს ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი ფლობს: ე. შელაგინი, ნ. ვასილიევი და ორი ქართველი — გ. გავაშელი, ი. დათუნაშვილი... (ამ უკანასკნელმა 1966 წელს 27 წუთის განმავლობაში 5 გოლი გაიტანა ერევნის „არარატის" კარში).

თბილისელებს ეკუთვნით ერთი უნიკალური რეკორდიც, რომელზეც ამ წერილში მოგითხრობთ. 1975 წლის 21 სექტემბრიდან 1980 წლის 19 ივნისამდე საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში ჩვენს ფეხბურთელებს საკუთარ მინდორზე არც ერთი მატჩი არ წაუგიათ. ამ ხნის მანძილზე შინ ჩატარებული 72 მატჩიდან თბილისელებმა 51 მოიგეს, 21 ფრედ დაამთავრეს, ბურთების სხვაობაა — პლიუს 100, გაიტანეს 136 გოლი, მიიღეს 36. გუნდის გამარჯვებათა სერია შეწყდა 1980 წლის 19 ივნისს მოსკოვის „სპარტაკთან" — 2:4.

72 მატჩი წაუგებლად! ეს მაჩვენებელი, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო კავშირში, არამედ მსოფლიოშიც. აღსანიშნავია, რომ ძველი რეკორდიც ქართველებს ეკუთვნოდათ, 1968-1971 წლებში მათ ზედიზედ 50 მატჩი ითამაშეს დაუმარცხებლად საკუთარ მინდორზე — 39 მოგება, 11 ფრე.

როგორ გგონიათ, ცენტრალური პრესის მკითხველი არის ამ რეკორდების შესახებ ინფორმირებული? რასაკვირველია, არა! ალბათ, გაიფიქრებდით, გამორჩებოდათ სტატისტიკოსებსო... ვერ დაგეთანხმებით. ჩემს რუს კოლეგებს დაუდევრობას ვერ დავწამებ... 1970 წელს, როცა თბილისელებმა ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს სტუმრად, ალექსეი ლეონტიევმა მექსიკის ჩემპიონატში ნაკრების მარცხიანი გამოსვლა თბილისელებს დააბრალა — 5 ქართველს რა უნდოდა ნაკრებშიო, მაგათ ხომ სტუმრად თამაში არ შეუძლიათ და მხოლოდ შინ „ფაფხურობენო"...

ჩემი აზრით, ცენტრალური პრესა დუმილით იმიტომ შეხვდა ამ რეკორდებს, რომ კაცი იფიქრებდა — კიდევ კარგი ჩვენთან მსაჯობა მიკერძოებითია და პოლიტიკის რანგში აყვანილი, თორემ თუ თბილისში, სადაც გასვლით თამაშებთან შედარებით მსაჯობა ოდნავ ობიექტურია და ასეთი შედეგი აქვთ, ობიექტური რომ იყოს, ხომ დაეკარგებოდა შეჯიბრების ჩატარებას აზრიო...

დავუბრუნდეთ რეკორდს. ჯერ აღვნიშნოთ, რომ იგი კიდევ დიდხანს გაძლებს, რადგან საუკეთესო შედეგი, რასაც სხვა გუნდებმა მიაღწიეს, სარეკორდო მაჩვენებლის ნახევრის ფარგლებში მერყეობს.

ახლა კი ცოტაოდენი ანალიზიც გავაკეთოთ. მაინც, რამ განაპირობა ასეთი მაღალი შედეგი? ვფიქრობ, აქ რამდენიმე ფაქტორია მხედველობაში მისაღები.

1. იმ წლებში ჩვენ გვყავდა ძლიერი გუნდი ყველა თავისი ატრიბუტით — ბრძოლისუნარიანობით, შეთამაშებით, გრძელი სათადარიგო სკამით.

2. 1976 წლის შემოდგომაზე ახალი სტადიონის გახსნამ, რომელიც წინანდელთან შედარებით ორჯერ მეტ მაყურებელს იტევს, მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური როლი ითამაშა. ამასთან, ორიოდე კვირით ადრე, როგორც იქნა, ჩვენი გუნდი საკავშირო თასს დაეუფლა. ახალმა სტადიონმა, პირველად მოპოვებულმა თასმა (მეექვსე ფინალური ცდით, მეორმოცე წლისთავზე) საკმაო ზემოქმედება მოახდინა ჩვენი ფეხბურთელების თავმოყვარეობასა და მობილიზაციაზე.

3. იმ წლებში ჩვენ გვყავდა თავისი საქმის დიდი მცოდნე და ერთგული მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი, გარდა 4 მატჩისა, რომელიც 1975 წელს გაიმართა, მოყოლებული 1976 წლიდან, როცა იგი უფროს მწვრთნელად დაინიშნა, 68 მატჩი ჩატარდა დაუმარცხებლად.

4. იმ წლებში ჩვენ გვყავდა გუნდის ხერხემალი მანუჩარ მაჩაიძე, მუდამ საბრძოლო ჟინით ანთებული, მხნე, თავდავიწყებამდე გუნდის ინტერესებით მოცული. მაჩაიძე 1976 წელს აირჩიეს კაპიტნად და მისი ხელმძღვანელობით ზედიზედ 64 მატჩი ჩატარდა დაუმარცხებლად.

**ბელა ბარაყანიძე.**

## კიეველები ჩინეთში

**კიევის** დინამოელებმა გამარჯვება მოიპოვეს ჩინეთის ქალაქ შენიანის საერთაშორისო ტურნირში. კიეველები ფინალში შეხვდნენ ჩინეთის ეროვნულ ნაკრებს, ძირითადი დროის განმავლობაში წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვეს დინამოელებმა — 6:5.

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 17 | 11 | 4 | 2 | 40-13 | 26 |
| „მეტალურგი" | 17 | 9 | 7 | 1 | 20-7 | 25 |
| „შინიკი" | 18 | 9 | 5 | 4 | 26-18 | 23 |
| „ფახთაქორი" | 16 | 9 | 3 | 4 | 28-19 | 21 |
| „დინ." სტ. | 16 | 9 | 3 | 4 | 22-16 | 21 |
| „ლოკ." მ. | 15 | 7 | 4 | 4 | 17-11 | 18 |
| „კოტაიკი" | 17 | 6 | 6 | 5 | 15-14 | 18 |
| „ნეფთჩი" | 16 | 6 | 5 | 5 | 27-20 | 17 |
| „ნისტრუ" | 17 | 5 | 7 | 5 | 18-23 | 17 |
| „როსტს". | 16 | 6 | 4 | 6 | 17-22 | 16 |
| „გეოლოგი" | 18 | 5 | 6 | 7 | 15-21 | 16 |
| „ფაკელი" | 16 | 6 | 3 | 7 | 19-18 | 15 |
| „კაირატი" | 16 | 6 | 3 | 7 | 20-21 | 15 |
| „დინ." სხ. | 14 | 6 | 3 | 5 | 7-8 | 15 |
| „ზენიტი" | 16 | 4 | 5 | 7 | 17-20 | 13 |
| „ტავრია" | 16 | 2 | 9 | 5 | 9-11 | 13 |
| „ლოკ." გ. | 16 | 3 | 6 | 7 | 13-21 | 12 |
| „ტირასი" | 16 | 3 | 6 | 7 | 11-22 | 12 |
| „ყუბანი" | 16 | 1 | 4 | 11 | 4-27 | 6 |
| „კუზბასი" | 13 | 0 | 5 | 10 | 7-20 | 5 |

# მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

(დასასრული)

ჰყოლოდა. რა თქმა უნდა, დროდადრო თამაში მძაფრდებოდა, ორივე გუნდის ფეხბურთელები თამამ იერიშებზე გადადიოდნენ, მაგრამ მხოლოდ გარკვეული, მცირე ხნით. შემდგომში სიფრთხილე კვლავ ძლევდა სითამამეს.

ერთ-ერთი ასეთი თამამი იერიშის დროს იტალიელებმა კარგად გამოიყენეს სწრაფი კომბინაცია, იერიშში სკილაჩიც ჩაება და მან ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ არგენტინელებმა გააძლიერეს თამაში, შეტევაში დიდი ძალები ჩართეს და რამდენიმე გამოუყენებელი შესაძლებლობის შემდეგ საწადელს მიაღწიეს — კლაუდიო კანიჯამ თავით გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1.

მატჩის ძირითად დროს ცვლილება ანგარიშში არ მოჰყოლია. და ფრანგ მსაჯს მიშელ ვოტროს დამატებითი დროის დანიშვნა დასჭირდა. გამოცდილ არბიტრს მთელი მატჩის მსვლელობაში რამდენიმეჯერ მოუხდა ორივე გუნდის მოთამაშეთათვის ყვითელი ბარათის ჩვენება, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთათვისაც ეს მეორე გაფრთხილება იყო, ეს კი ნიშნავდა, რომ შემდგომ მატჩში, სადაც არგენტინელებს პირველი ან მესამე ადგილისთვის მოუხდებოდათ ბრძოლა, ისინი ვერ შეძლებდნენ მინდორზე გამოსვლას, მაგრამ ამ, თითქოს კრიტიკულ ვითარებაშიც კი, ისინი არ ერიდებოდნენ უხეშობას, ყოველი ცალკეული ეპიზოდის სიმწვავე მათ აიძულებდა თავის სახსნელად წესები დაერღვიათ.

ერთი სიტყვით, გავიდა 120 წუთი და ანგარიში კვლავ 1:1 იყო, დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანები, პირველი დარტყმა, წილისყრით, იტალიელებმა შეასრულეს. ბარეზიმ ზუსტად გაიტანა ბურთი, სერისელამ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ ბაჯომ ძლიერად გაგზავნა ბურთი მეკარე ძენგას კარში, ხოლო ბურუჩაგამ, კვლავ აღადგინა ანგარიშში თანაფარდობა — 2:2, დეაგოსტინისა და ოლარტიკოეჩეას დარტყმების შემდეგ ანგარიში გახდა 3:3.

და, აი, დადგა არგენტინელთა საუცხოო მეკარის სერხიო გოიკოეჩეას აღზევების ჟამი. მან ზუსტად გაანგარიშებული ნახტომით მოიგერია დონადონის დარტყმული ბურთი, შემდეგ მარადონამ წინ გაიყვანა არგენტინელები და გოიკოეჩეამ კვლავ მოარგო „გასაღები" სერენას დარტყმას.

პენალტების დარტყმას აქ წერტილი დაესვა, ვინაიდან ბოლო ბურთის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. არგენტინელებმა სერია ანგარიშით 4:3 მოიგეს და მატჩის საერთო ანგარიშით 5:4 ფინალში გავიდნენ.

ასე დამთავრდა ეს მეტად დრამატული ნახევარფინალი, იგი უკიდურესად დაძაბული და საინტერესო იყო, თუმცა, უნდა ითქვას, რომ საჩემპიონო თამაში,. ე. ი. ჰემარიტად მაღალი კლასი და ოსტატობა ვერც ერთმა მხარემ ვერ გამოავლინა. ეს ნახევარფინალი საერთაშორისო რანგის უმაღლეს სტანდარტებს არ მიეკუთვნებოდა.

გუშინ გაიმართა მეორე ნახევარფინალური მატჩი,. ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის გუნდები.



სალვატორე სკილაჩი! არგენტინის ნაკრებთან იტალიელთა შეხვედრამდე ეს ფეხბურთელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოთამაშე იყო, მასზე ბევრს ლაპარაკობდნენ მსოფლიო პრესაში, როგორც ჩემპიონატის აღმოჩენაზე.

აი, სკილაჩიმ არგენტინელებთან ნახევარფინალურ მატჩში ანგარიშიც გახსნა — ფინალისკენ თითქოს გზა ხსნილია, უსაზღვროდ გახარებულია ფეხბურთელი, მაგრამ სპორტში, მით უფრო ასეთ საფეხბურთო მატჩში, მსაჯის საბოლოო სასტვენამდე შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დადგეს, სიხარული ნაღველად გამოდგეს. ასეც მოხდა.

ახლა სკილაჩი თავის თანაგუნდელებთან ერთად მხოლოდ ჩემპიონატის მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს.

არადა, პროგნოზები სულ სხვა იყო.

# ყველასგან მივიწყებული ველოსპორტი!

**ხშირად** არ გვაკმაყოფილებს საქართველოს ველოსიპედისტთა მომზადების დონე და მწვრთნელებს ცუდი მუშაობისთვის ვაკრიტიკებთ. ამასთან გვავიწყდება, რომ სპორტის ნებისმიერ სახეობაში წარმატება, მნიშვნელოვანწილად, მასობრიობაზეა დაფუძნებული.

ამ დღეებში ჩატარდა შეჯიბრება გზატკეცილზე „უნივერსიადა — 90"-ის პროგრამით. უნივერსიადა სტუდენტთა შეჯიბრებაა და მასში, ბუნებრივია, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები უნდა გამოდიოდნენ. უნდა გამოდიოდნენ მაგრამ... შეჯიბრებაში, რომლის შესახებაც ახლა ვსაუბრობთ, სულ რაღაც სამიოდე სასწავლებელი გამოდიოდა. ველოსპორტი, როგორც სახეობა, მთლიანად უარყოფილია ტექნიკუმებში. ბოლო დროს მას სპარტაკიადების პროგრამაშიც ველარ ნახავთ. არა და იყო დრო, როცა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ველოსპორტზე ზრუნავდნენ და სტუდენტი სპორტსმენებიც სხვადასხვა შეჯიბრებაში გამოდიოდნენ. ორში ერთი: ან ხელი უნდა ავიღოთ ველოსპორტზე, ან რაღაც კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ მისი პოპულარიზაციისთვის.

რაც შეეხება ამ შეჯიბრებას, 25 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვასილ დავიდენკომ მოიგო — 34:30. პროგრამის მეორე სახეობაშიც — ჯგუფურ რბოლაშიც (100 კმ) უძლიერესი ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი გარი კეხბა გახლდათ — 2:50.15. გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა ასე: ფიზკულტურის ინსტიტუტი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი.

**ავთანდილ ბუნია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

---

**ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის აბიტურიენტთა საყურადღებოდ!**

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ა. წ. 8 ივლისს, 12 საათზე აწყობს ღია კარის დღეს.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 49.

## „სპორტპროგნოზი"

**26-ე ტირაჟის შედეგები**
**(29.VI — 2.VII)**

1—1, 2—2, 3—2, 4—1, 5—1, 6—2, 7—X, 8—1, 9—X, 10—1, 11—X, 12—1, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**„C-6" სპეციალური ტირაჟის შედეგები**
**(30.VI — 1.VII)**

1 (იტალია), 5 (არგენტინა), 13 (გფრ), 21 (ინგლისი).

**შენიშვნა:** ციფრები აღნიშნავს გუნდების რიგით ნომრებს.

## „სპორტლოტო"

**გაიმართა** „სპორტლოტოს" 1990 წლის 26-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 1 (კალათბურთი), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 19 (სათხილამურო რბოლები), 28 (ტყვიის სროლა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

---

**მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები**

# კალათბურთის მოცარტი

**დიდ მუსიკოსად უნდა დაიბადო, ასევე დიდ სპორტსმენადაც. მხოლოდ ამის შემდეგ არის აუცილებელი გაუნელებელი შრომა, უზარმაზარი და ქანცგამწყვეტი, ღმერთისგან ბოძებულის დასახვეწად. ხშირად ახეთია ოცდახუთი წლის იუგოსლაველი კალათბურთელი დრაჟენ პეტროვიჩი, „კალათბურთის მოცარტს" რომ უწოდებენ გულშემატკივრები.**

**მოედანზე** დრაჟენი არაფრითაა განსხვავებული, იგი ჩვეულებრივი, შავთმიანი, 198 სანტიმეტრის სიმაღლის ახალგაზრდაა. მაგრამ, როგორც კი ბურთი ჩაუვარდება ხელში, უმალ მიხვდებით, რომ უმაღლესი კლასის სპორტსმენია. მისი გადაადგილებები, პასები, ტყორცნები, ფინტები უკლებლივ უნაკლოა. იგი ქვეშეცნეულად ფლობს ამ საოცარი თამაშის საიდუმლო რიტმს.

ყოველ თამაშში დრაჟენი სასწაულებს ახდენს. მოწინააღმდეგეებმა იციან მისი უნარის შესახებ—ნებისმიერი პოზიციიდან აიღოს კალათი, იქიდანაც კი, როცა ფიზიკის ყველა კანონის თანახმად, ბურთმა აუცილებლად უნდა აუაროს გვერდი კალათს. ამიტომაც არის, რომ მოწინააღმდეგე გუნდის ორი კალათბურთელი გულდაგულ ადევნებს თვალს იუგოსლაველის ყოველ გადაადგილებას, ცდილობენ გზა გადაუღობონ მისგან გადაცემულ ბურთს, და თუ ეს ვერ მოხერხდება, იძულებულები ხდებიან ყველა თავდაცვითი წესების გამოყენებას მიმართონ. თუმცა, ეს ყველაფერი ბევრჯერ უნაყოფოა. ნებისმიერი რანგის თამაშში დრაჟენ პეტროვიჩი ჩვეულებრივ 30-40 ქულას აგროვებს, რაც აღიარებული ბომბარდირებისთვისაც კი მიუწვდომელია. ამისი ახსნა სპეციალისტებსაც არ შეუძლიათ, „იგი ღმერთისგან აქვს მინიჭებული", — ამბობენ ისინი.

თვითონ დრაჟენმა კი იცის თუ რაოდენ ტიტანური შრომა სჭირდება ამგვარი გამარჯვებების მოპოვებას. ყოველი დილა სპორტულ დარბაზში იწყება, თვით ყველაზე დაძაბული თამაშების შემდეგაც კი, როცა თითქოსდა ცოტა სულის მოთქმის საშუალებაც არის. „ჯერ კიდევ ბავშვობიდან მივეჩვიე დილაობით ასი ტყორცნის შესრულებას. და თუ ამას არ გავაკეთებ, მგონია რაღაცა არ მყოფნის", — ამბობს დრაჟენი. გუნდთან ერთად წვრთნის დასრულების შემდეგ, დამოუკიდებლად კიდევ ხუთ-ექვს საათს ვარჯიშობს სხვადასხვა მდგომარეობიდან ეშმაკური ფინტებისა და სროლების დასახვეწად.

ცნობილია, თუ რა დიდი წვლილი მიუძღვის პეტროვიჩს იუგოსლავიის ნაკრების გამარჯვებაში, როცა შარშან მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. იგი კონტინენტის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მალე დრაჟენმა კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა — ეს იყო თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი მადრიდის „რეალსა" (პეტროვიჩი ამ კლუბში თამაშობს) და იტალიურ კლუბ „სნაიდეროს" შორის, რომელშიც ცნობილი ბრაზილიელი ბომბარდირი ოსკარ შმიდტი თამაშობს. ეს იყო ორი გამორჩეული ოსტატის ორთაბრძოლა და წარმოიდგინეთ რა ხდებოდა ათენის გარეუბნის, პირეის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე, როცა ძირითადი დრო ანგარიშით 102:102 დასრულდა. დამატებით დროში გაიმარჯვა „რეალმა" — 117:113. მატჩის დამთავრების მაუწყებელი სასტვენის შემდეგ ესპანელებმა პეტროვიჩი ხელში ატაცებული წაიყვანეს გასახდელში. ეს სამეფო პატივი გამართლებული იყო, რადგან „რეალის" მთავარი ბომბარდირის ანგარიშზე 62 ქულა მოდიოდა, რომელთაგან 24 ზუსტი სამქულიანი სროლებით იყო მოპოვებული. ევროპული გუნდების ფინალური მატჩებისათვის ეს თავისებური რეკორდი გახლავთ, რომლის გაუმჯობესებასაც უახლოეს ხანში ალბათ ვერვინ შეძლებს.

სახელი და დიდება პეტროვიჩმა ზაგრების სახელგანთქმულ „ციბონაში" მოიპოვა, რომელშიც უფროსი ძმა ალექსანდრე თამაშობდა. მაშინ დრაჟენი ცხრამეტი წლისა იყო, თუმცა თორმეტი წლიდან მოყოლებული, სერიოზულად ვარჯიშობდა. თითქოსდა წინასწარ უკვე განსაზღვრული იყო ძმების სპორტული მომავალი. სიმაღლით მშობლებს დაემსგავსნენ: წარმოშობით მამა მაღალი ადამიანების სიმრავლით ცნობილი ჰერცოგოვინიდან არის, დედაც წარმოსადეგი ქალი გახლავთ. თუმცა, მარტო სიმაღლე ბევრს არაფერს ნიშნავდა გამარჯვებისა და სახელის მოსაპოვებლად. ამიტომაც, დრაჟენი თავგამოდებით ვარჯიშობდა. ოთხი წელიწადი თამაშობდა ადრიატიკის სანაპიროზე მდებარე მშობლიური ქალაქის შიბენიკის გუნდში, ხოლო არმიაში სამსახურის დროს, იქაური გუნდის ღირსებას იცავდა.

შემდეგ „ციბონასა" და იუგოსლავიის ნაკრების ჯერიც დადგა, სადაც ძმები ერთად გამოდიოდნენ. სწორედ ზაგრებში დაიმკვიდრა დრაჟენმა საკალათბურთო სნაიპერის რეპუტაცია. 1985 და 1986 წლებში „ციბონა" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი ხდება. აღსანიშნავია, რომ ნიკოს გალისისა და არვიდას საბონისისაგან განსხვავებით, რომლებიც მისი მეტოქეები იყვნენ ევროპის საუკეთესო კალათბურთელის ტიტულის მოპოვებაში, დრაჟენ პეტროვიჩმა მხოლოდ პირველად შარშან მიიღო ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი. ასეთია ამ მოთამაშის ბედი: არც ოლიმპიადებზე, არც მსოფლიოსა და ევროპის პირველობებში იუგოსლავია ვერ ეუფლებოდა გამარჯვებულის ტიტულებს, თუმცა დრაჟენი ბრწყინვალედ თამაშობდა ნაკრების შემადგენლობაში ყველა 139 მატჩში.

იგი თითქმის პირველი ევროპელი კალათბურთელია, რომელმაც ხუთი წლის წინათ მაცდუნებელი წინადადება მიიღო ოკეანის გაღმიდან, მათ შორის ამერიკული პროფესიული ლიგის ნბა-დანაც. მაგრამ, დრაჟენმა ევროპაში დარჩენა და „რეალში" თამაში არჩია. ესპანელებთან ორნახევარ მილიონ დოლარად შეფასებული ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციამ ოთხმოცი ათასი დოლარი მიიღო, კუთვნილი წილი გადაერიცხა „ციბონას".

„დასამალი რა არის, „რეალში" ფულის გულისთვის გადავდივარ,— განმარტა პეტროვიჩმა. — მე თამაშს ძალზე დიდ ხარკს ვუხდი, ამიტომაც მინდა სანაცვლოდ ბევრი მივიღო".

როგორც ცნობილია, ესპანური კალათბურთი ყველაზე ინტერნაციონალურია მთელს კონტინენტზე. იქაურ კლუბებში თითქმის ყველა კონტინენტისა და სკოლის წარმომადგენლები გამოდიან.

„ცხადია, ესპანეთში თამაში გაცილებით ძნელია, ვიდრე სახლში,— ამბობს დრაჟენი. — თამაშის სტილს ამერიკელები კარნახობენ და იგი არა მარტო მწვავეა, არამედ აგრესიულიც, უხეშიც კი. მსაჯები ამის ალსაკვეთად დიდად არ ირჯებიან. ხშირად ფარქვეშ ნამდვილი ბრძოლა ჩაღდება. მაგრამ, ყველაფერს მივეჩვიე, იძულებული ვარ გავჩუმდე და არ ვუპასუხო უხეშობაზე. მაგრამ, ისიც უნდა ვთქვა, რომ ვერც კი წარმომედგინა ასეთი სრულყოფილი ორგანიზაცია — კალათბურთელებს მხოლოდ ისლა დარჩენიათ, რომ ითამაშონ. სულ უმნიშვნელო წვრილმანზე ფიქრიც არ გვიწევს. თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე ვღებულობდი წერილს, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი მთელი პროგრამა: როდის და საიდან გავა ავტობუსი, ავიარეისის ნომერი, გუნდის დასაბინავებელი ოტელის დასახელება, თვითმფრინავის გაფრენის დრო თამაშის დამთავრების შემდეგ, ხოლო ავტობუსში, თითოეული მოთამაშის სავარძელში ყოველთვის დევს კონვერტში ჩადებული ფული, ერთგვარი „სამივლინებო" ხარჯებისათვის".

იუგოსლაველების მიერ ზაგრებში მოპოვებული წარმატების შემდეგ, მათს მიმართ ინტერესი დიდად გაიზარდა. ორმა წამყვანმა მოთამაშემ, ოცდაორი წლის ვლადო დივაცმა (212 სანტიმეტრი) და ამავე ასაკის დინო რაჯამ (210 სანტიმეტრი) კონტრაქტი გააფორმეს ნბა-ს წარმომადგენლებთან. ხოლო ნბა-ს სხვა კლუბების ემისრებმა ისევ დაიწყეს პეტროვიჩის დამუშავება. მაგრამ, იგი ჯერ არ ფიქრობს „რეალის" დატოვებას.

„შეიძლება მოგვიანებით მართლაც გადავიდე ამერიკის შეერთებულ შტატებში, — თქვა მან. — ვგრძნობ, რომ იქ თამაში ურიგო არ იქნება".

დრაჟენი საშუალო ეკონომიკური განათლებით გახლავთ, ამჟამად კი იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. თავისუფალ დროს სულიერად ისვენებს სპორტული მარკების თვალიერებით. უყვარს სისწრაფის შეგრძნება, რასაც ისრულებს ჩინებული ავტომობილის „პორშე-ტურბოს" ქროლვით. მალე იქორწინებს იუგოსლაველ ქალიშვილზე. მერე კი, ალბათ ცხოვრება თავისი გზით წაიყვანს.

**მოამზადა ბელა ჯილაურმა.**

---

# ნიკო ქოჩიაშვილო, გიგლოვთ



ამ ბიჭის წარმატებები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე რამდენჯერმე აისახა, ჯერ საქართველოს ჩემპიონობა მივულოცეთ, შემდეგ კი, საკავშირო შეჯიბრების პრიზიორობა, ბოლოს კი, წელს, ეს 25 მარტს იყო, მკითხველს იგი წარვუდგინეთ, როგორც ძიუდოში ანზორ კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. ეს ფოტოსურათიც, რომელიც ახლა, სამწუხაროდ, ნეკროლოგს დავურთეთ, სწორედ „ლელოს" 25 მარტის ნომერში გამოქვეყნდა პირველ გვერდზე.

საქართველოს პერსპექტიულ ძიუდოისტთა რიგებს 17 წლის ასაკში გამოაკლდა სპორტის ამ სახეობის უაღრესად ნიჭიერი წარმომადგენელი ნიკო ქოჩიაშვილი. შესანიშნავი აღმზრდელის, ჯანო ჯანიაშვილის შეგირდმა იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. უმაწვილი დღითიდღე ოსტატდებოდა, სულ რაღაც სამ წელიწადში განვლო გზა რაიონის ჩემპიონობიდან ავტორიტეტულ საერთაშორისო ტურნირის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე — ყველა რანგის შეჯიბრებებში თანატოლთა შორის მუდამ ან გამარჯვებული გამოდიოდა, ან პრიზიორი.

სულ ახლახან დაამთავრა ზესტაფონის მესამე საშუალო სკოლა. ჯერ სიმწიფის ატესტატიც არ ჰქონდა მიღებული, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდა — იმ აბიტურიენტთა სიაშიც მოხვდა, რომელთაც უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად რეკომენდაციას უწევდა საქართველოს სპორტსახკომი...

მოულოდნელმა, ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა ჭაბუკი ფალავნის სიცოცხლე.

**ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაცია,**

**ზესტაფონის რაიონის სპორტული სკოლის დირექცია.**

---

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

---

**ვინ არის ყველაზე ამტანი?**

**თბილისის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი 7 ივლისს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე პირველად ატარებს დედაქალაქის ღია პირველობას ტრიატლონში (1 კმ. ცურვა; 60 კმ ველო-კროსი; 10 კმ. სირბილი) ნოდარ ჯანგირაშვილის პრიზზე. მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს.

შეკრების ადგილი ცენტრალურ პლაჟთან.

დასაწყისი 18 საათზე.

---

**„სპორტპროგნოზი", 28-ე ტირაჟის პროგრამა (13-14 ივლისი)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში, ქალები** | | | | |
| 1. სსრ კავშირი — ბრაზილია | 13.VII | 50 | 40 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 2. „ლოკომოტივი" (გორკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 14.VII | 10 | 80 | 10 |
| 3. „ფაკელი" (ვორონეჟი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) | 14.VII | 40 | 50 | 10 |
| 4. „როსტსელმაში" (როსტოვი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) | 14.VII | 10 | 50 | 40 |
| 5. „დინამო" (სტავროპოლი) — „ნეფთჩი" (ბაქო) | 14.VII | 10 | 60 | 30 |
| 6. „პახთაქორი" (ტაშკენტი) — „დინამო" (სოხუმი) | 14.VII | 80 | 10 | 10 |
| 7. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ტირასი" (ტირასპოლი) | 14.VII | 80 | 10 | 10 |
| 8. „კუზბასი" (კემეროვო) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 14.VII | 10 | 80 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა, დასავლეთის ზონა)** | | | | |
| 9. „დაუგავა" (რიგა) — „სტარტი" (ულიანოვსკი) | 14.VII | 50 | 40 | 10 |
| 10. „ისკრა" (სმოლენსკი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 14.VII | 20 | 60 | 20 |
| 11. „ნივა" (ტერნოპოლი) — „ვოლინი" (ლუცკი) | 14.VII | 20 | 70 | 10 |
| 12. „ბუკოვინა" (ჩერნოვცი) — „ხიმიკი" (გროდნო) | 14.VII | 30 | 60 | 10 |
| 13. „კრემენი" (კრემენჩუგი) — ასკ (ოდესა) | 14.VII | 10 | 70 | 20 |

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა თ. მიგრიაული. კორექტორები მ. ძძამიძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-42,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-26, „მარათე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 20.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779